თბილისის აპოლონ ქუთათელაძიოს სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეული „ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტი“ აცხადებს ღია კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. **მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 5 წლის ვადით**

1 საშტატო ერთეული - შრომითი ხელშეკრულების კატეგორია B (20 სთ კვირაში) და 1 საშტატო ერთეული - შრომითი ხელშეკრულების კატეგორია A (30 სთ კვირაში).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ **საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:**

- ✓ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი
- ✓ მედიახელოვნების და ვიზუალური კომუნიკაციის სფეროში სამეცნიერო კვლევითი მუშაობის არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება
- ✓ პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება

კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ
- cv
- პირადობის მოწმობის ასლი;
- დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/ და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სამოტივაციო წერილი (მომავალი 5 წლის განმავლობაში კვლევის პრიორიტეტული მიმართულებ(ებ)ის მითითებით, რომელშიც აპირებს მუშაობას.
- კონკურსანტმა დამატებით შეიძლება წარმოადგინოს ნებისმიერ ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს მის კვალიფიკაციას და გამოცდილებას.

მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება შემდეგ გარემოებებს:

- დარგის შესაბამის სამეცნიერო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.
- ბოლო 4 წლის განმავლობაში დარგის შესაბამისი სადოქტორო, სამაგისტრო ან საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, რეცენზენტობა, ოპონირება.
- მედიახელოვნების და ვიზუალური კომუნიკაციის დარგის შესაბამისი სამეცნიერო აქტივობა: გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები, წიგნები.

- მედიახელოვნების და ვიზუალური კომუნიკაციის დარგის შესაბამისი შემოქმედებითი აქტივობა: საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა.
- დარგობრივ საექსპერტო კომისიებში მუშაობის გამოცდილება.

მთავარი მეცნიერ თანამშრომლის ძირითადი (ზოგადი) ფუნქციები:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა;
- მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, ფორუმებში, სემინარებში და სხვა;
- სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა;
- საჭიროებიდან გამომდინარე სალექციო კურსების და სემინარების წაყვანა;
- ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევით საქმიანობის დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობა;
- ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო კვლევების განხორციელება;
- ყოველწლიურად სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება;
- საჭიროებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა;
- ინსტიტუტის დებულებით განსაზღვრული სხვა მოვალეობების შესრულება;

2. მეცნიერ თანამშრომელი - 5 წლის ვადით

1 საშტატო ერთეული - შრომითი ხელშეკრულების კატეგორია B (20 სთ კვირაში).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ **საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:**

- ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ✓ სამეცნიერო კვლევითი მუშაობის და პედაგოგიური მოღვაწეობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ
- cv
- პირადობის მოწმობის ასლი
- მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;

- სამოტივაციო წერილი (მომავალი 5 წლის განმავლობაში კვლევის პრიორიტეტული მიმართულებ(ებ)ის მითითებით, რომელშიც აპირებს მუშაობას.
- კონკურსატმა დამატებით შეიძლება წარმოადგინოს ნებისმიერ ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს მის კვალიფიკაციას და გამოცდილებას.

მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება შემდეგ გარემოებებს:

- დარგის შესაბამის სამეცნიერო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.
- ბოლო 4 წლის განმავლობაში დარგის შესაბამისი სადოქტორო, სამაგისტრო ან საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, რეცენზენტობა.
- მედიახელოვნების და ვიზუალური კომუნიკაციის დარგის შესაბამისი სამეცნიერო აქტივობა: გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები, წიგნები.
- მედიახელოვნების და ვიზუალური კომუნიკაციის დარგის შესაბამისი შემოქმედებითი აქტივობა: საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა.

მეცნიერ თანამშრომლის ძირითადი (ზოგადი) ფუნქციები:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში ჩართულობა;
- მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, ფორუმებში, სემინარებში და სხვა;
- სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა;
- საჭიროებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა (სალექციო კურსების, სემინარების მომზადება და წაყვანა);
- ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევით საქმიანობის დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობა, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ყოველწლიურად სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, საჭიროებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა, ინსტიტუტის დებულებით განსაზღვრული სხვა მოვალეობების შესრულება.

3. მედიახელოვნების ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის „ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტის“ დირექტორი - 5 წლის ვადით.

1 საშტატო ერთეული - შრომითი დატვირთვა 20 სთ კვირაში.

დირექტორის თანამდებობაზე არჩეული პირი ამავდროულად ითვლება შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ **საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:**

- ✓ ხელოვნების/აუდიოვიზუალური/მედიახელოვნების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- ✓ მედიახელოვნების, ციფრული და გეომეტრიული მოდელირების, ვიზუალური კომუნიკაციის სფეროში სამეცნიერო კვლევითი მუშაობის არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება
- ✓ პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება
- ✓ კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს:

მთავარი მეცნიერ თამაშრომლისათვის დადგენილი დოკუმენტაცია და დამატებით დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის განვითარების კონცეფცია.

დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის „ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტის“დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება შემდეგ გარემოებებს:

- მთავარი მეცნიერ თანამშრომლისათვის დადგენილ პრიორიტეტებს.
- სამეცნიერო ან საგანმანათლებლო სფეროში ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის
- გამოცდილებას.
- საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ან საგანმანათლებლო პროექტების
- ხელმძღვანელობის გამოცდილებას.
- აკადემიურ ან/და სახელოვნებო საბჭოში მუშაობის გამოცდილება.
- უცხო ენის მაღალ დონეზე ცოდნა.

დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის „ვიზუალური კომუნიკაციისა და **მედიახელოვნების ინსტიტუტის“დირექტორის ძირითადი (ზოგადი) ფუნქციები:**

- დამოუკიდებელი სამეცნიეორ კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელობა
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობა და წარმართვა
- სამეცნიერო წლიური ანგარიშის მომზადება.
- ინსტიტუტის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა, წლიური და პროექტებთან
- დაკავშირებული ანგარიშების მომზადება, ინსტიტუტის წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში.

საკონკურსო განაცხადები შეტანილი უნდა იყოს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კანცელარიაში შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, გრიბოედოვის ქ. N22, დალუქულ კონვერტში, შესაბამისი პოზიციის მითითებით. კონვერტზე ასევე დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის სახელი და გვარი. ერთმა კანდიდატმა შეიძლება წარმოადგინოს განაცხადი მხოლოდ ერთ პოზიციაზე.

საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელი იქნება 2024 წლის 21 თებერვლიდან 2024 წლის 21 მარტის ჩათვლით. მთავარი მეცნიერ თანამშრომლის და

მეცნიერ თანამშრომლის არჩევნების შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნება 2024 წლის 22 მარტს აკადემიის ვებგვერდზე.

საკონტაქტო პირი: ლანა მანაგაძე.
საბუთების მიღება: ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 11:00 -16:00 საათამდე.